ქ.თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე TBC#ბანკის სერვისცენტრის

გათბობა-გაგრილების და ვენტილაციის პროექტის

განმარტებითი ბარათი

სარჩევი

1 გათბობა_გაგრილების სისტემა 4

1.1 მილგაყვანილობა 4

1.2 გამათბობელი_გამაგრილებელი ხელსაწყოები 4

1.3 მართვის სისტემა 4

2 ვენტილაციის სისტემა 5

2.1 სავენტილაციო ცხაურები 5

2.2 ჰაერსატარები 5

2.3 ტექნიკური სათავსო 6

I. ობიექტის აღწერილობა

საპროექტო#ტერიტორია#მდებარეობს#ქ1თბილისში.

კომპლექსი შედგება შემდეგი ძირითადი ნაწილებისგან:

- ძირითადი შენობა
  - ✓ოფისები
  - ✓შეხვედრის ოთახები
  - ✓ჰოლი
  - ✓ბექოფისი

II. საპროექტო პარამეტრები

- გარე საანგარიშო ტემპერატურა

(სამშენებლო კლიმატოლოგია პნ 01.05-06)

  - ✓გარე ჰაერის ტემპერატურა ზამთარში#0 °C>
  - ✓გარე ჰაერის ტემპერატურა ზაფხულში#.40 °C>
  - ✓შიდა ჰაერის ტემპერატურა ზამთარში#.52°C>
  - ✓შიდა ჰაერის ტემპერატურა ზაფხულში#.53°C1

1 გათბობა_გაგრილების სისტემა

1.1 მილგაყვანილობა

მილების დიამეტრები მოცემულია შესაბამის გეგმებზე და გათვალისწინებული არის სპეციფიკაციაში.

კონდიცირების ფრეონის მილგაყვანილობისათვის შერჩეულია სპილენძის მილები.

მილები უნდა შეიფუთოს თბოსაიზოლაციო კაუჩუკის ღრუბლით.

კონდესატის მილები იკრიბება ერთად და გადის შენობის გარეთ და დაერთდება სველ წერტილებში ტრაპზე ან დაიღვრება გარემოში (დაზუსტდეს ადგილზე)

1.2 გამათბობელი_გამაგრილებელი ხელსაწყოები

შენობის შიდა სათავსოების გათბობა-გაგრილებისთვის პროექტით გათვალისწინებულია VRF სისტემა კასეტური შიდა ბლოკებით, სალაროებისა და სერვერის გათბობა-გაგრილებისათვის გამოიყენება კედლის ტიპის სპლიტ კონდიციონერები. რომელებზეც მითითებული არის სიმძლავრე შესაბამის ნახაზზე და გათვალისწინებული არის სპეციფიკაციაში. ფენკოილებთან,რომლებიც თაბაშირ-მუყაოს ფილებით იფარება უნდა მოეწყოს მომსახურების ლუქები 600X600 ზომის.

ფენკოილების შიდა ბლოკები უნდა შეიცავდეს ტემპერატურული რეჟიმის მართვისთვის საჭირო ყველანაირ ავტომატიკას

სასერვერო და სალარო სათავსოებისათვის გამოყენებულია სპლიტ სისტემის კონდიციონერები. კონდიციონერებმა უნდა უზრუნველყონ გამართული მუშაობა შიდა და გარე ბლოკებს შორის არსებული დაშორების დროს.

1.3 მართვის სისტემა

ტემპერატურული რეჟიმის მართვა ხორციელდება ლოკალურად. ფენკოილების შიდა ბლოკების კედლის პულტების საშუალებით, რომლებიც განთავსებულია უშუალოდ გასაგრილებელ/გასათბობ სათავსოში.



2 ვენტილაციის სისტემა

სათავსოში ვენტილაცია ხორციელდება, მოდინებითი/გამწოვი მაღალ ეფექტური რეკუპერაციული სავენტილაციო აგრეგატის საშუალებით. ჰაერსატარებად აღებულია მოთუთიებული თუნუქი. ჰაერსატარების სისქეები და კვეთები დატანილია ნახაზებზე და აღნიშნულია სპეციფიკაციაში.

2.1 სავენტილაციო ცხაურები

სათანადო ვენტილაციისთვის სათავსოებში ჰაერის გაწოვა ხდება

სავენტილაციო კვადრატული და მრგვალი დიფუზორების მეშვეობით, რომელთა ზომები მოცემულია პროექტში

დიფუზორების დიზაინი და ადგილმდებარეობა შეთანხმებულია დიზაინერთან

2.2 ჰაერსატარები

ჰაერსატარები დამზადდეს მოთუთიებული თუნუქის ფურცლით, თუნუქის სისქე და ჰაერსატარის კვეთები მოცემულია შესაბამისი სართულის გეგმებზე.

ჰაერსატარების გადაბმა მოხდეს მილტუჩების საშუალებით, მილტუჩების გერმეტიზაცია უნდა მოხდეს რეზინის შუასადებით



2.3 ტექნიკური სათავსო

შენობის მომსახურე HVAC სისტემის გარე აგრეგატები განთავსებულია შენობის გარე პერიმეტრზე.

შენიშვნა

1. ფენკოილების კედლის თერმოსტატები, უნდა დამონტაჟდეს სათავსოებში იატაკიდან 1.4მ-1.6მ სიმაღლეზე, მზის სხივებისგან, გამათბობელი და გამაგრილებელი ხელსაწყოების უშუალო მოქმედების არეალიდან მოშორებით,დაცული არასანქცირებული ჩარევისაგან.ზუსტი ადგილმდებაროება დაზუსტდეს შენობის დიზაინერთან და დამკვეთთან.
2. გათბობა-გაგრილების და კონდესატის მილების პარამეტრები შესაბამისობაში უნდა იყოს პროექტზე დართულ სპეციფიკაციაში მოცემულ ზომებთან.
3. ყველა აგრეგატი და ხელსაწყო დამონტაჟდეს მწარმოებლის მიერ თანდართული ინსტრუქციების და მოთხოვნების შესაბამისად.
4. მასალათა სპეციფიკაციებში მოცემული კონდიცირების და სავენტილაციო მოდინებითი აგრეგატების გაბარიტული ზომებისგან განსხვავებული აგრეგატების მონტაჟისას უნდა მოხდეს სამონტაჟო ადგილების წინასწარი დათვალიერება და სამონტაჟო ფართობის განსაზღვრა.
5. სარევიზიო ლუქების რაოდენობა და მოთავსების ადგილები განისაზღვროს სამუშაოების მიმდინარეობისას.
6. შემსრულებელი ვალდებულია სამონტაჟო და მათი დამხმარე მასალების ზუსტი რაოდენობა და ტიპები განისაზღვროს სამონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე, ნახაზისა და უშუალოდ ობიექტზე არსებული მდგომარეობის შესაბამისად.
7. დაუშვებელია პროექტის თვითნებურად შეცვლა პროექტის ავტორის თანხმობის გარეშე.
8. პროექტი შესრულებულია დამკვეთის უშუალო მოთხოვნის და მითითებების საფუძველზე.